ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი № 02

დაბა ქედა, 18 აპრილი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე;
სხდომა დამთავრდა 15:55 სთ-ზე.

სხდომას გენდერული თანასწორობის საბჭოს 21 წევრიდან ესწრებოდა 15.

სხდომას თავმჯდომარეობდა რომან დავითაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
თეა შარაშიძე - გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაგდა მახარაძე - საბჭოს წევრი (მდივანი);
ოთარ ხარაძე - საბჭოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი;
ჰამიდა ზოიძე - საბჭოს წევრი;
ლაშა ბერიძე - საბჭოს წევრი;
ზაზა დავითაძე - საბჭოს წევრი;
ჯემალ ტაკიძე - საბჭოს წევრი;
ნონა ბერიძე - საბჭოს წევრი;
თინა თებიძე - საბჭოს წევრი;
სულიკო ჩხიკვაძე - საბჭოს წევრი;
ეკა გოგუაძე-მახარაძე - საბჭოს წვერი;
ვლადიმერ თებიძე - საბჭოს წევრი;
ლია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მარინა ბარამიძე - საბჭოს წევრი;
შორენა კარანაძე - საბჭოს წევრი;
მამია გვარიშვილი - საბჭოს წევრი;
ინდირა გორგაძე - საბჭოს წევრი;
ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე - საბჭოს წვერი;
მადონა ფალავანდიშვილი - საბჭოს წვერი.

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

18 აპრილი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რომან დავითაძე	საბჭოს თავმჯდომარე	
2	თეა შარაშიძე	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	
3	მაგდა მახარაძე	მდივანი	
4	ოთარ ხარაძე	საბჭოს წევრი	
5	მზია ბოლქვაძე	საბჭოს წევრი	
6	მარინა ბარამიძე	საბჭოს წევრი	
7	შორენა კარანაძე	საბჭოს წევრი	
8	ზაზა დავითაძე	საბჭოს წევრი	
9	ჰამიდა ზოიძე	საბჭოს წევრი	
10	ლაშა ბერიძე	საბჭოს წევრი	
11	ლია ბოლქვაძე	საბჭოს წევრი	
12	ინდირა გორგაძე	საბჭოს წევრი	
13	ჯემალ ტაკიძე	საბჭოს წევრი	
14	ნონა ბერიძე	საბჭოს წევრი	
15	მამია გვარიშვილი	საბჭოს წევრი	
16	თინა თებიძე	საბჭოს წევრი	
17	სულიკო ჩხიკვაძე	საბჭოს წევრი	
18	მადონა ფალავანდიშვილი	საბჭოს წევრი	
19	ეკა გოგუაძე-მახარაძე	საბჭოს წევრი	
20	ვლადიმერ თებიძე	საბჭოს წევრი	
21	ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე	საბჭოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე რომან დავითაძემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის შაბლონის პრეზენტაცია და გაცნობა საბჭოს წევრებისათვის, სამოქმედო გეგმის სრულყოფა - ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრა.
2. „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება" პროგრამის პრეზენტაცია;
3. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სოციალური პროგრამების განხილვა;
4. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მეთოდიკა, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მეთოდიკა, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის თვითშეფასების მეთოდიკა;
5. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საჭიროებათა კვლევის მეთოდიკა, მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდიკა;
6. გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ფორმირება.

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თეა შარაშიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა პრეზენტაციის სახით დღის წესრიგით გათვალისწინებული ხუთივე საკითხი, სხდომაზე წარმოდგენილი პროექტები ოქმს დანართის სახით ერთვის.

საბჭოს წევრებს წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

პროექტების გაცნობის შემდგომ სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ საკითხები კენჭისყრაზე დააყენა:

პირველი საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

მეორე საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

მესამე საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

მეოთხე საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

მეხუთე საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ეთხოვოს ,,სოციალური მომსახურების სააგენტოს" სააგენტოში დაცული ინფორმაცია სოფლების მიხედვით, თანდართული ფორმის შესაბამისად.

სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოსათხოვი მონაცემები სოფლის შესახებ

რამდენი სოციალურად დაუცველი ოჯახია (სოფლის დასახელება)	
სოციალურად დაუცველი ოჯახების საერთო რაოდენობა	(5)
ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა 30 001-ზე ნაკლებია	(5.2)
ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა 30 001 -დან 57 001 ქულაა	(5.3)
ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 -დან 60 001 ქულაა	(5.4)
ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 -დან 65 001 ქულაა	(5.5)
ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100 001-ზე ნაკლებია	(5.6)

სოფელში მცხოვრები შშმ პირების რაოდენობა			
რამდენი შშმ პირი ცხოვრობს სოფელში?	სულ	კაცი	ქალი
	(5.7)	(5.7.1)	(5.7.2)

შშმ პირების განაწილება ასაკის მიხედვით			
0-2 წლამდე	(5.1)	(5.1.1)	(5.2.1)
2-6 წლამდე	(5.2)	(5.1.2)	(5.2.2)
6-15 წლამდე	(5.3)	(5.1.3)	(5.2.3)
15-18 წლამდე	(5,4)	(5,1,4)	(5,2,4)
18-60 წლამდე	(5.5)	(5.1.5)	(5.2.5)
60-65 წლამდე	(5.6)	(5.1.6)	(5.2.6)
65-მეტი	(5.7)	(5.1.7)	(5.2.7)

ვინაიდან, ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მუშაობს მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდიკის დანერგვაზე, რომლის ფარგლებში შეიმუშავა სოფლის მონაწილეობითი შესწავლის ინსტრუმენტი, რაც შესაძლებლობას იძლევა შეკრიბოს საკვანძო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტს საშაულებას მისცემს შეადგინოს სოფლების კატალოგი თითოეული სოფლის პროფილით. სოფლის მონაწილეობითი შესწავლის პაკეტი მოიცავს სოციალურად დაუცველი და შშმ პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას გენდერულ ჭრილში.

ასევე საბჭომ იმსჯელა და **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერს ეთხოვოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა დანერგოს ახალი პროგრამა, რომლის მიზანს იდეაში წარმოადგენს მარტოხელა დედის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი გამოვლენა და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე შესაბამისმა სამსახურმა წარმოადგინოს თავისი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
როგორც მოგეხსენებათ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია ერთი მარტოხელა მშობელი (მარტოხელა დედა).

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის თაობაზე სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ფორმირებაში ცვლილება უნდა განხორციელებულიყო შემადგენლობის შემცირების მხრივ გარკვეული რეკომენდაციების

საფუძველზე და საბჭოს წევრებს მისცა უფლება გამოეთქვათ აზრი ამასთან დაკავშირებით. საბჭოს რამდენიმე წევრის მიერ გამოითქვა აზრი ობიექტური მიზეზების გამო საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე. ვინაიდან საბჭო დაკომპლექტებულია მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისაგან, რომლებიც სხდომებს მათი უშუალო საქმიანობის განხორციელების გამო ვერ ესწრებოდნენ ან ვერ ახერხებდნენ საბჭოს საქმიანობაში მეტი დოზით ჩართულობას ან გარკვეულ ტრენინგ-შეხვედრებზე მონაწილეობას საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე აზრი დააფიქსირეს. სხდომაზე საბჭოს შემდეგმა წევრებმა გამოთქვეს სურვილი საბჭოდან გასვლის თხოვნით გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო: ლაშა ბერიძემ, ჰამიდა ზოიძემ, ნონა ბერიძემ, ლია ბოლქვაძემ, სულიკო ჩხიკვაძემ. აქვე საბჭოს წევრმა მაგდა მახარაძემ პირადი პრობლემების გამო ითხოვა, რომ მდივნის პოზიციას ვეღარ შეითავსებდა და საბჭოს წევრად დარჩებოდა მხოლოდ. საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა თითოეულ წევრს თანამშრომლობისათვის და განუცხადა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს, რომ გაითვალისწინებდა მათ ობიექტურ მიზეზებს და სხდომაზე გაკეთებულ აღნიშნული განცხადების თაობაზე მოახდენდა საბჭოს შემადგენლობის ცვლილებას და აქვე საბჭოს წევრებს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნად ზაზა დავითაძის კანდიდატურა შესთავაზა.

სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ საკითხი ზემოთ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით (საბჭოს მდივნად ზაზა დავითაძის არჩევა) კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

საბჭომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1.ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება) საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ფორმირებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ 15:55 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **რომან დავითაძე**

ოქმი შეადგინა:
საბჭოს წევრი **ზაზა დავითაძე**